№ 182 2 სეკდემბერი, ოთხშაბათი. 1866—1881 2 სეკდემბერი, ოთხშაბათი. № 182

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია

გლოსკინის ბრანსკაიაზეთ. ია. ფუხრანსკის ხახლებში ალუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

შეიდებაოთფოლიანში „დროებაზე“ „ეკონომიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზე-ეკონომიის“ აგენტთან ი. ჭელნიანოთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებოთვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვის 3 თვეს

„დროება“ და „ეკონომია“ ერთად 14 მან. . . 8 ფ. . 5 ფ.

ცალკე { „დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 ფ. . 3 ფ.
„ეკონომია“ . . . . . 7 მან. . . 4 ფ. . 2 ფ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 5 კაპიკი, [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთი ასოზე შეოთხედი კაპ. ბეჭდვა-ბეჭდვა

თუ ხანგრძლივად მოითხოვენ, რედაქცია კაბსწორებს და შეამოკლებს დახანგულად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზე“-„ეკონომიის“ აგენტთან.

ჯალეკნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

თამბაქოს ფაბრიკანტი ქუთაისში

სტეფ. პეტრ. ფირალოვი

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის ფაბრიკაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ ნამდვილი და საუკეთესო ოსმალოს თამბაქო სხვა და სხვა ხარისხისა, რომლიდგანაც აკეთებენ ჩემს ზედამხედველობის ქვეშ პაპიროზებს და თამბაქოებს.

ფაჭრობა ჩემი ფაბრიკის თამბაქოისა და პაპიროზების არის:

ა) ქუთაისში—მიხაილოვის და ქარვალის ქუჩაზე.
ბ) თბილისში—ივერიის თამბაქოს მაღაზიაში, ბალავინის პროსპექტზე.
გ) ფოთში—ბერძნების ქუჩაზე, ვაინციევის სახლებში.

ბლომად მყიდველს ალნიშნულ ფასზედ 25% ნაკლებ მიეცემა. ზემოხსენებულ მაღაზიებში მიიღებაყოველივე შერიგება, რომელიც აღსრულდება სიქაჩრით. (3—3)

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტოსი“)

პეტერბურღის ბირჟა, 31 აგვისტოს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა —	96 —	87
მეორესი — — — —	94 —	25
მესამესი — — — —	94 —	75
მეოთხესი — — —	94 —	„
ალმოსავლეთის პირვ. —	90 —	75½
ალმოსავლეთის მეორე	90 —	75½
ალმოსავლეთის მესამე	90 —	87
ოქრო, ½ იმპერიალი	7 —	60

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	228 —	50½
მეორე სესხის — —	223 —	50½

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 26 —	9	პენსი
ბერლინი	— „ —	„	ჰფენიგი
ამბურღი	— 222 —	75	ცენტი
პარიჟი	— — 275 —	75½	სანტიმი
ავკასიის კერასინი	— — —		

‹დროების› ფელეტონი, 2 სეკტემ.

ივრის ხეობიდამ.

Свинья говоритъ правдѣ:
— Ты-ли говоришь, что есть другая правда почище околодочно—полицейской?!
Щедринъ.

ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც კარგა ხანი იმყოფებოდა რუსეთში, როცა საქართველოში დაბრუნდა და აქაური მდგომარეობა თავის ავან-ჩავანით გაიგო, ხშირათ მეტყოდა ხოლმე, რომ ჩვენ სოფლებში სულ ყველა ისეთივე წესები ჰსუფევენ, რაც რუსეთის სოფლებშია. უკვირდა ერთგვარი ქცევა რუსეთის და ჩვენის მოხელეებისა, ჩაფრების და პრისტავების მათთან მოქცევა და სხვა ამ გვარი ერთი ჯიშის ხალხის შემოხვევა სოფლების არე-მარეების გარს, რომელიც თითქმის აღრჩობს სულიერათ და ხორციელათ რუსეთსო.

ზოგი იტყვის, რომ ეს ძრიელ საკვირველი არ არისო, რადგან ერთ-ნაირი მიზეზნი, შედეგსაც ერთნაირს ჰბადამენო... მეც და ჩემი პატიოსანი ნაცნობიც მაგ ჰაზრისანი ვართ, ჩემო ბატონო, მაგრამ გვიკვირს, მიტომ რომ, ასე ცოტა დრო—და სრული თანხმობა...

ამ სოფლის დამამხობელ ძალებზე იმის მეასედიც არ თქმულა ჩვენში, რაც ითქვა რუსეთში!.. ვის არა აქვს ცნობა რუსეთში, უფრო რა საკვირველია ლიტერატურის შემწეობით, რუსეთის ტალახისა და სისაძაგლისაგან აზელილ „სტანავოისა“, „ურიადნიკისა“, „ისპრავნიკისა“, „ვოლოსტნოი სტარშინისა“ და „მწერლისა“?!. ვინ არ იცის რუსეთში, რო პატიოსან გლეხს მოხელეთ არ დეედგომლება, რადგან იგი უნდა იყოს სრული მონა დაბალი ადმინისტრაციისა და ვინ ურჩევს ამ ხელობის აღებას იქ პატიოსან გლეხსა, როდესაც ჩვენში ბეჭედიც კი ურჩევს ხოლმე ამას?! ვინ პატიოსანი გაუწვდის რუსეთში ხელს სტანავოის? ლიტერატურის მხრით ამა ზნეების კარგა ვამოაშკარავებამ ასტეხა ამ საგანზე დიდი ბაასი მაღალ საზოგადოებაში თუ ისევ ბეჭედში. ეველასი გულითადი წადილია ეს საძაგელი წესი მოისპოს..

ჩვენში კი, ჩემო ბატონებო, ყველა ადრეაო, ამბობენ ბრძნულათ, ვენზილებია საჭირო და არა რეფორმების და, რასაკვირველია, პრისტავ-ჩაფრების მიერ ცემა-ტყეპა თუ ჯერ რუსეთში არ მოსპობილა, აქ ადრეა, იმას გაუძლებს ჩვენი ხალხის ბეჭებიო. მაგრე, ჩემო „ბრძნებო“, მაგრამ წვრილმალ რამეს. გინდ რუსეთიდგანვე ჩვენში ცხოველების მფარველ საზოგადოების შამოღებას თუ დრო აქვს, გლეხების ცემა-ტყეპას და სოფლების ზნეობით დამახინჯებას რომ ბოლო მოელოს, ამას კი არა აქვს დრო? აკი იმიტომ პრისტავები, ჩაფრები და „პრაოდჭიკები“ მთელ საზოგადოებაში არამთუ საზიზღარათ მიაჩნიათ,—არამედ მათ მფარველად დიდი და „გაანათლებული“ პირები უდგებიან. რუსეთში მათ ადმინისტრაცია ჰფარავს, აქ საზოგადოებაც-კი...

ვინაც უმაღლესი განათლების მიღებას ვერ შესძლებს, ის სასულიერო წოდების გზაზე წავა, და ჩვენ გვეყოლება სოფლებში განათლებული გონება-გავარჯიშებული მღვდლები.

ეხლანდელი ჩვენი მღვდლები, საზოგადოთ ვიტყვით, არ არიან ღირსნი თავიანთ მდგომარეობისა. წირვა-ლოცვას ძლივს ასრულებენ და იმასაც ისე, რომ უმეტესმა არც იცის, თუ რას ამბობს მღვდელი; სახარების რიგიანად, გაგებით და გარკვევით წაკითხვა არ შეუძლიანთ უმეტეს ჩვენ მღვდლებს. მრთელი წელიწადი ისე გაივლის, რომ მთელ იმერეთში ორი მღვდელიც არ უქადაგებს ხალხს, არ აუხსნის ქრისტიანობის წმიდა ჭაშმარიტებაებს, არ აუხსნის, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს კეთილი ზნეობა, სინიდისიანობა, მოყვარის სიყვარული, მოვალეობა ცოლ-შვილის, საზოგადოების და სამშობლოის წინაშე. უცხო ქვეყნებში ისე კვირა არ გაივლის, რომ მღვდელმა სიტყვა ან წარმოსთქვას, არ უქადაგოს და არ გაუღვიძოს თავის მრევლს კეთილი მაღალი გრძნობანი.

რაღა ლაპარაკი უნდა. ჩვენში უფრო საჭიროა ხალხის წინამძღომლობა, ვიდრე გარეშე განათლებულ ქვეყნებში. „წინამძღომლობა“ ვამბობთ იმისთვის, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში მხოლოდ მღვდლებს შეუძლიანთ ხალხის წინამძღომელნი გახდენ, დაუნერგონ უმეცარ საზოგადო-

---

ეს ეს ჰაზრები მამივიდა თავში, როდესაც თბილისში შემხვდა ერთი ხელებ-შაკრული ვეება გლეხი, რომელსაც უკან ჩაფრები მოსდევდნენ. ვიცან, რომ ეს იყო ჩემი ქვეყნიდამ ივრის ხევიდან მამასახლისი! სამამასახლისო ნიშანი აგლეჯილი ჰქონდა, თოკი ისე მოეჭირებინათ, რომ მსუქან მკლავებში ღრმათ იყო ჩამჯდარი. მათრახით ისე ჰქონდა დაშხეპილი ბეჭები, რომ პილატის წინ მდგომ ნადირ ურიებსაც კი მოალბობდა ამის საცოდაობა.

რა საშინელი დანაშაულობა ჰქონდა ამ სოფლის წარმომადგენელს, რომ ასე მტარვალად მეექცნენ, როგორც თვით ამ პირს, ისე მის აღმომრჩევლებს! ეს ეს მაწუხებდა მე მთელი დღე და ვერა გავიგე-რა, მინამ მეორე დღეს ჩემთან არ მოვიდა სამი ივრის-ხეველი გლეხი.

— რაზე ჩამოჰსულხართ ქალაქში?! ვკითხე მე მათ.

— ჰე ღმერთმა რო ამოაგდოს ავი

ქუთაისის სემინარია

თბილისი, 1 სეკტემბერს.

მდგომარე წელიწადი ბედნიერია იმერეთისათვის: ორი საშვალ სასწავლებელი მიენიჭა მას; ხონში ამ დღეებში გაიხსნება სამოსწავლო სემინარია და ქუთაისში სასულიერო სამინარიის გახნის თაობაზე საქმე გათავებულა.

იმერეთი საქართველოის ყველა გუთხეებზე უფრო დასახლებულია და არც ერთ მაზრაში ჩვენის სამშობლოისა არ არის ეგრე გავრცელებული სწავლა-განათლების სურვილი, როგორც იმერეთში. ის სასწავლებლები, რომელნიც აქამომდე იყო, მეათედ მოთხოვნილებასაც არ აკმაყოფილებდენ; რამოდენიმე ათას ყმაწვილს ყოველ წლობით ჰქონდა მოსპობილი განათლების გზა.

ათას რვაას ორმოც-და-ათის წლიდამ ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ ერთი სრული საშვალ სასწავლებელი არსებობდა ქუთაისის გიმნაზია, რომელიც მუდამ გატენილი იყო ყმაწვილებით, ასე რომ თითოეულ კლასში ორმოც-და-ათს გადემატებოდა მოსწავლეთა რიცხვი. ცხადია, რომ სწავლა ამის გამო ჭკოჭლობდა. ამ ჭირს კიდე რა გაეწყობოდა? სამწუხარო ის არი და ის იყო, რომ გიმნაზიაში მხოლოდ ხუთასი, ბევრი-ბევრი ექვსასი ყმაწვალი დაეტევა. სხვებისთვის-კი სწავლის გზა შეკრული იყო, ერთის მხრით იმიტომ, რომ სხვა ქალაქებში შვილების აღზრდა იმერლებს, სიღარიბის გამო, არ შეუძლიათ, და მეორე მხრით—სხვა ქალაქებშიაც, მაგალითებრ თფილიში, სასწავლებლებში შეგირდები არ ეტევიან; ვაკანსია არ არის, თუნდ თავის ხერჯითაც შეეძლოს შვილი გაზარდოს.

ამ ვითარების შემხედვარე ჩვენმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით სასულიერო წოდებამ არავითარი საშვალება, არავითარი ღონის-ძიება არ უნდა დაშუროს ახლად მინიჭებულ სემინარიის დროზედ გახსნისათვის.

სემინარია, თუ რიგიან გზაზე იქმნა დაყენებული, თითქმის იმგვარსავე განათლებას აძლევს ყმაწვილს, როგორც გიმნაზია. ოქრის წლის წინეთ მოსპობილი უფლება, რომელიც წინეთ სემინარიელებს აძლევდა ნებას უნივერსიტეტში შესვლისას, იმედია ხელ-ახლავ მიენიჭებათ. გარდა ამისა, ვინაც უმაღლესი განათლების მიღებას ვერ შესძლებს, ის სასულიერო წოდების გზაზე წავა, და ჩვენ გვეყოლება სოფლებში განათლებული გონება-გავარჯიშებული მღვდლები.

ეხლანდელი ჩვენი მღვდლები, საზოგადოთ ვიტყვით, არ არიან ღირსნი თავიანთ მდგომარეობისა. წირვა-ლოცვას ძლივს ასრულებენ და იმასაც ისე, რომ უმეტესმა არც იცის, თუ რას ამბობს მღვდელი; სახარების რიგიანად, გაგებით და გარკვევით წაკითხვა არ შეუძლიანთ უმეტეს ჩვენ მღვდლებს. მრთელი წელიწადი ისე გაივლის, რომ მთელ იმერეთში ორი მღვდელიც არ უქადაგებს ხალხს, არ აუხსნის ქრისტიანობის წმიდა ჭაშმარიტებაებს, არ აუხსნის, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს კეთილი ზნეობა, სინიდისიანობა, მოყვარის სიყვარული, მოვალეობა ცოლ-შვილის, საზოგადოების და სამშობლოის წინაშე. უცხო ქვეყნებში ისე კვირა არ გაივლის, რომ მღვდელმა სიტყვა ან წარმოსთქვას, არ უქადაგოს და არ გაუღვიძოს თავის მრევლს კეთილი მაღალი გრძნობანი.

რაღა ლაპარაკი უნდა. ჩვენში უფრო საჭიროა ხალხის წინამძღომლობა, ვიდრე გარეშე განათლებულ ქვეყნებში. „წინამძღომლობა“ ვამბობთ იმისთვის, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში მხოლოდ მღვდლებს შეუძლიანთ ხალხის წინამძღომელნი გახდენ, დაუნერგონ უმეცარ საზოგადო-

ებას ადამიანის ბუნების ამამაღლებელნი გრძნობანი.

თუ აწ-მდგომარე საუკუნეში ამ ბედნიერებას ვიყავით მოკლებული, იმედია, შემდეგში მოგვენიჭება ისეთი განათლებულნი პირნი სასულიერო წოდებისაგან, რომელნიც როგორცა სარწმუნოებისათვის, აგრეთვე მამულისათვისაც ღვაწლს მოიტანებენ. ღმერთმა ჰქნას, რომ ქუთაისის სემინარიას გამოეზარდოს ჩვენთვის ამ გვარი ღირსეულნი მოძღვარნი, რომელთაც შესძლებოდეს ხალხის წაყვანა სინათლის და სიმართლის გზაზედა!... დ

ახალი ამბები.

მომავალ არხეოლოგოსების კრებისათვის ცოტ-ცოტათი გროვდებიან თფილისში. ამ დღეებში ჩამოვიდნენ: პროფესსორი მოდესტოვი, ლაზარევის ინსტიტუტის პროფესსორები: ოქრომჭედლიშვილი, ქანანოვი და ემინი; ამ მოკლე ხანში მოელიან აგრეთვე გერმანიის გამოჩენილ მეცნიერს-ანტროპოლოგს ვირხოვს; ამბობენ, პარიჟიდამაც რამდენიმე მოდიანო.

ერთის სიტყვით, იმედია, რომ კრების გახსნამდინ (8 ენკენისთვემდი) ბევრი მეცნიერი არხეოლოგები ჩამოვლენ უცხო ქვეყნებიდამ, რადგან არხეოლოგიის მხრით კავკასია დიდ ინტერესს და ვრცელს, გამოუკვლეველ ასპარეზს წარმოადგენს მეცნიერებისათვის.

* * *

რადგან გავლილ კვირას დიდი წვიმა იყო, ამის გამო ამ დღისათვის დანიშნული სახალხო სეირნობა ალექსანდროვის ბაღში, ვერ მოხდა. ამბობენ, დღეის შემდეგ ამ გვარი „სეირნობა“ და ამ საშუალებით ფულის მოგროვება, მიცვალებულ იმპერატორის სახელობაზე უპატრონო ბავშებისათვის თავ-შესაფარ სახლის გასამართავად, აღარ იქნებაო.

* * *

ქართლიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთ სოფლებში ვენახებს წელს შარშანდელზე უფრო მომეტებული ნაცარი მიაყარაო და ამის გამო ღვინის მოსავალს ნაკლებ მოელიანო. მაგიერად პურის მოსავალს ყველგან ემადლიერებიან.

* * *

ოზურგეთიდამ იწერებიან გაზეთს „კავკაზში“, რომ გავლილ აგვისტოს 23 ამ ქალაქიდამ სამტრედიას მიმავალ დილიჟანსს თექვსმეტი დაიარაღებული ავაზაკი დასცემია თავს და ექვსი იმაში მჯდომი კაცი გაუცარცვავთ. ამასაც არ დასჯერებიან: როცა შტაბ-კაპიტანს ზიგო ბერიძეს ხმალი ამოუღია, ამათ სროლა დაუწყიათ (მარტინის თოფები ჰქონიათ) და ეს ბერიძე მძიმედ დაუჭრიათ მუცელში და ხელში (ამბობენ, კიდეც მოკვდაო). ამ დროს თ. ზუგუნავა გამოჩენილა თავის კაცებით, ავაზაკები იმათგან გაქცეულან; ამ გარემოებით დილიჟანსს უსარგებლნია და გაქანებულა, ხელიდამ დასძრომია ავაზაკებს.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, აგვისტოს 20-ს პიატიგორსკის სატუსაღოდამ რვა ტუსაღი გაქცეულა; ამათგან ორი მოუკლავთ ყარაულებს, როცა დასაჭერად დასდევდნენ, ერთი ცოცხალი დაუჭერიათ და ხუთი კი ტყეში დამალულან და დღემდინ ვერ მოუნახავთ.

* * *

აბაშის სტანციიდამ გვწერენ:

„ვერ ვავხდით იმისთანა ბედნიერი, რომ გვღირსებოდა ერთი დოქტორი არამც თუ აბაშაში, მთელს სენაკის მაზრაში.

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ხშირია კაცის კვლა, დაჩეხა და დაჭრა; მხოლოდ ამ შემთხვევაში დაინახავთ დოქტორს სენაკის მაზრაში, თუ არა ისე ვინ შეიწუხებს თავს! მაშინაც ქუთაისიდან გზავნიან მაზრის ექიმს; მაგრამ ვაი იმისთანა მოსვლას: „პეტრეს მოსვლამდი პავლეს ტყავი სძვრებაო“.

„მაგრამ უკაცრავად: ერთი თვე გახლავთ, რაც მოვიდა ერთი ვიღაც და იძახის დოქტორი ვარო. შუშენია სადღაც აფთიაქის შუშა და ორი მისხალი ქინა და დიახაც დოქტორია ხალხის თვალში!

„მოდიან ხშირათ და სანთლით ეძებენ, დოქტორი სად ბძანდებაო. მაგრამ მას დოქტორობის ისე არაფერი ესმის, როგორც მე ჩინეთისა და იაპონიის.

„აბაშის სტანციას ელტვის ხალხი ყოველი კუთხიდამ და ეს ჩვენი უმეცარი ექიმი სარგებლობს ამით და და რაც შეუძლია, ხალხს ფულებს აძრობს.

„დიდი ბედნიერება ექნება, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მიაქცევდეს ყურადღებას და დაეკითხებოდეს იმ დოქტორს ვისი ნება-დართვით და რა უფლებით ფულებს ართმევს ის ხალხს. კიდევ უკეთესი იქნება, რომ ჩვენი (სენაკის) მაზრა ერთს ხეირიან ექიმისდანიშვნას ეღირსებოდეს მთავრობისაგან.

ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 სეკტემბრიდამ 15 სეკტემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
მესამის „	—1 გირ.	$3\frac{1}{2}$
იმავე ფქვილ თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	6 კ.
მეორის „	—1 გირ.	$4\frac{1}{2}$
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის.	—1 გირ.	7 კ.
მეორის „	—1 გირ.	$5\frac{1}{2}$
მესამის „ „	—1 გირ.	5 კ.
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

„დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 27 აგვისტო. არა თუ „დროების“ მკითხველებმა, მთელს რუსეთშიაც კი გაიგეს, რომ გორს თავის არჩევა გაუჭირდა; სამწუხარო ეს იყო, რომ ერთმა კაცმა არ გამოსთქვა ნამდვილი მიზეზი—რათ იყო ქალაქი ამ გაჭირვებაში. ქალაქის თავი ამათ დიდი ხანია ჰყავდათ, დიდი ხანია იცოდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო; მაგრამ ვერ ხედავდნენ; ვერ ხედავდნენ იმისათვის, რომ ერთმანეთის შურისა და ბოროტებით ფარდა აფარიათ თვალებზედ ზოგ ბატონებს.

ამისთანა პატრონების ხელში, ესე იგი ხმოვანებისა, რა გასაკვირველი იყო აქამდინ ქალაქის უთავობა! შეცარის ხმოვანებისაგან შეიტანილი ქაღალდები გაშინჯა გუბერნატორმა, დააბრუნა უკმაყოფილოთ. არჩევანი ქალაქის თავისა მოხდა ამ თვის 21. შეიყარნენ 27 ხმოვანნი რჩევის ზალაში. ბევრი სხვა-და-სხვა ლობე-ყურეს მოედო, ბევრს სხვა-და-სხვა სოროში ბუდეები ჰქონდათ, რომელშიაც სოროს თავმჯდომარები ისხდნენ, მაგრამ საუბედუროთ ვერა გაარიგესრა, სანთლებითაც სძებნეს, ამანაც

და თავ-ქარიანი კაცის ოჯახი! ჩვენ ხომ ერთ ქერქში არ დაგვაყენებენ...

— რაზედ ამბობთ მაგას? გამოვკითხე მე.

— რაზე და შარშან რო პრისტავი გვყვანდა, კაი-კაცობაზე რო გააგდეს კიდეც,—ეს ერთი კვირაა ისევ დაგვიყენეს—აბა იმაზე კარგს რო ვეღარ იშოვიდნენ, იმიტომ... —ჰე, თავში ქვა იმანაც იწყვიტოს; მაგრამ ჩვენ მიხა მამასახლისსა სცემა იმ ულმერთომ, ლორივით ხელებ-შეკრული აქ გამოგზავნა; ჩვენც იმის თაობაზე ვართ დაბარებული. ვიცოდით, რო ე პრისტავი და ჩვენი თავადების ნათესავი და კარგს არ დაგვაყრიდა,— ნაწვნევიც გვქონდა და აი არ აგვიხდა! ხო იცი რა მამასახლისი იყო ჩვენი მიხა? შენი მტერი რო ჩვენი სოფელი, თუ ის თავადებს კბილებში არა სდგომოდა! ეს ამბავი იმათი ბრალია და აკი დარჩათ ბურთი და მოედანი! მიხა დღეს გამოაგდეს და ჩაფრებმა კანტიტატას წაუღეს მენდალი— კანდიტატი ხო იცი, როგორ გადაბმულია თავადებთან... ეს ჩვენ კარგა გვეყურება. ამბობდა ბოლმით სავსე ერთი გლეხთაგანი და სხვები კი თავდალუნულნი ყურს უგდებდნენ.

მე დაწვრილებით ვიცი ჩვენი მამასახლისების საზიზღარი ოინები და იმიტომ მეტათ გარჩევით ვუყურებ მამასახლისებს; მაგრამ ამ ლაპარაკში მომაგონდა ჩვენებური ერთი ყოჩაღი მამასახლისთაგანი. ეს ჩვენი შაბოჭილი მიხა!

ივრის ხეობაში, თუ სხვაგან სოფლელები მოუთმენლად მოელიან გაქეზებულ ქორივით გასალახნებულ მამასახლისების ვადის გასვლას, რო ახალი ამოირჩიონ; ძველს ძალიან იშვიათად აყენებენ;—მხოლოდ ეს მიხა კი აი ეს მესამეთ არის ამორჩეული. ეს კაი ღირსებაა, უნდა გითხრათ. ხალხი ჰგრძნობს თავის მომხრეს და გვერდს მისს ამაყ სულში. მომაგონდა ამ შვიდი წლის წინეთ ხალხის დახმარებაზე და მართლის თქმაზე, როგორ სცემა ამ მამასახლისსვე გაიძვერობაში განთქმულმა ერთმა პრისტავმა. სხვასაც ბევრს ურტყამს ამაზედვე მიხასთვის და აი ეს ბოლოდროს და ვეღარც მოინელებს ამისი ამაყი გული. რას ფიქრობს ეს უბირი გლეხი, როცა ამას უდანაშაულოთ და სიმართლეზე სცემს რომელიმე მოხელე, რომელსაც სიმართლე სხვანაირათ მიაჩნია?! ეს ძნელი სათქმელია! ეს კი ვიცი, რომ ამ გვარი ქცევა ამახინჯებს ხალხს—ერს...

აი რაზე მომხდარა ეს საქმე:

ივრის-ხეობას, როგორც სხვა მხარეებს ნაწვნევი აქვთ—თუ რა უბედურება მოსდევს ბეგარას. როგორ დაავიწყდებათ ეს, მინამ დარჩებიან მხსოვნელნი შარშანდელი კალიაობისა თავის ნადირ-შახ ყორღანოვით, რომელიც იყო სამაზროდამ გაგზავნილი თორმეტი ყაზახით ივრის ხეობაში, რომ კალიის მუშა გამოერეკა. დაცოფებული და ხმალ ამოღებულები დაერივნენ ივრის-ხეობის თხუთმეტიოდ სოფელს.—კაცი ხვდებოდათ თუ დედა-კაცი, მათრახებით სიკვდილის პირამდე მიჰყავნდათ. მოხელეები ბევრი დასჭრეს, ხალხი სახლებიდამ კარში არ გამოდიოდა, მინამ ამათი ხმა ისმოდა. გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ ამათ მოკლეს კიდეც საგარეჯოს გლეხი ქურდღელაშვილი. უველა ეს შერჩათ ამათ, როგორც შენ მკითხველო დედის რძე...

ამ ნაირი ბეგარით დაშინებულმა ივრის-ხეობამ წელს, რადგან შეხვდა ბეგარით თიონეთის შოსის გაკეთება, იჯარით გადასცა გარეშე პირებს—იმ ფიქრით, რომ დეე, ფული მივცეთ, მინამ სული ეშმაკსაო... თუმც თითო მეიჯარადრემ ორმოც თუმნამდის სოფლის თავს მოგება დაისო, მაინც ხალხი მადლიერი იყო. მაგრამ ჩვენ მაზრის მართველობას თითქო ენანებაო მათი „მოსვენებაში“ ყოფნა და რადგან არც არავისი ეშინიანთ, უპოვეს კიდევ სატანჯველი.

გზის კეთების დროს ვიღაც „კონდუხტორს“, ინჟინერის პლანის წინაალმდეგ, სოფელ გარეთ გაუჭრევინებია გზა. გათავების შემდეგ ინჟინერს უნახავს და უბძანებია გზის ისევ

არა უშველათ-რა და აირჩიეს ისევ ძველი ქალაქის თავი ბ. იაკობ ბასპარის-ძე ელიმირზოვი. 25 კენჭი თეთრი მოუვიდა და 2 შავი.

მადა ჩემმა ღმერთმა, და თითონ გორელებიც დამემოწმებიან, ცოდვა არის ეს კაცი ამათ ხელში: ვისაც კი აქაური მეტი წილი ხმოვანი უნახავს და იცნობს, ამათი თავობა სწორედ ვაქკაცობაა! არამც თუ ჯაბაგირი უნდა მისცენ თავსა ისიც ქალაქის ფული, არამედ საოსტატოც ერგება ზოგი ხმოვანებისაგან!

აი ამისთანა ხმოვანები გვყავს. ამათი ღირსება ის არის, რომ ხუთასი და ათას თუმნამდინ მამულებით შეძლება ექნებათ და იმიტომ აირჩიეს ესენი ხმოვანებთ.

მაგრამ ქართულათ ნათქვამია: „კარგია თუ ავია, ქალო, შენი ქმარიაო!“ ამ ანდაზისა არ იყოს, ეხლა რალას უშველით! დანარჩენი ხმოვანები მოვალენი არიან, ამათ ურიგო მოქმედებას წინ აღუდგნენ და რამე მოუხერხონ ქალაქს. ნუ იტყვიან, ცოტანი ვართ, რა შეგვიძლიანო! ერთმა თაგვმა ას კოკიანი წაჰპილწაო! ესენიც სხვის დაუდევნელობით ისარგებლებენ და ვაი მაშინ ქალაქის ბრალი!

აი დაუდევნელობით დღეს რა მოხდა ბორის რჩევაში: არჩევანი იყო სეკრეტრისა და იმ ჩლენებისა, რომელთაც ვადა გაუვიდათ კანონით. ერთმა დასმა ხმოვანებმა ერთათ შეგდავლეს ქალაქის თავს, ვადა-გასული ჩლენების მაგიერი აღარ გვინდაო და მარტო ორი ძველი ჩლენი ამირალოვი და თუთაევი დარჩესო! თუმცა წინამდეგებიც ჰყავდათ ხმოვანები, რომ უთუოთ დათხოვნილების მაგიერი ყოფილიყო, მაგრამ იმათ დასძლიეს და აღარ აარჩიეს ჩლენები და დაანარჩუნეს ორი ზემო ნათქვამი წევრი გამგეობისა.

ეს ბატონი ხმოვანები გუშინ, შარშან და იმის წინ, სულ იმას ჰყვიროდენ, გალავამ და ოთხმა ჩლენმა არა გააკეთა-რაო და ეხლა-კი ამათის სიტყვით, ამ უსარგებლო ხალხს ქალაქის თავს და ორ წინანდელ წევრს ჩაუგდეს ისევ ქალაქი ხელში. აი ამათი ლოღიკა!

სეკრეტრათაც აირჩიეს ისევ ძველი სეკრეტარი შიო დავიდოვი, ორი წლით, სულ თეთრი მოუვიდა.

ამ დღესვე კანდიდატები უნდა აერჩიათ. პირველად უყარეს კენჭი მერაბ ბაბუნიას, რომელიც რჩევისაგან სამი თვე არის მტკვარზე ახალი ხიდის გაკეთებისათვის არჩეული და შეუდგა გაკეთებას და თითქმის ორი წილი საქმე გაათავა; ამის ხელში ხუთას თუმანმა უნდა გაიაროს; გარდა ამისა დღეს სხვა საქმეებიც აქვს ამასთან გამგეობას და რჩევას და ეს საჭირო კაცი კანდიდატობის არჩევაში გაამაგეს!...

სიტყვა

ოქმული ქუთაისის მეჩვიდმეტე სასულიერო სასწავლებლის მაზრის დეპუტატების ერილობისადმი.—

მამანო და ძმანო!

თუმცა არა ერთ გზის მქონდა თქვენთან უბნობა მასზედა, თუ რა ზომად საჭირო არის ჩვენი ეპარხიისათვის სემინარიის დამყარება ქუთაისში, და თვით ამ თვეში გნახეთ თქვენ თავ-თავის საბლალოჩინოებში, სადაც ჩვეულებრივ მყავდა შეკრებილნი ყოველნი სამღვდელო და საეკლესიო მსახურნი და, სხვათა შორის, ამ საგანზედა მქონდა თქვენთან ბაასი; გარნა ახლაც საჭიროდ ვრაცხ კიდევ, უკანასკნელად, გითხრათ თქვენ რაოდენიმე სიტყვა ამ საგანზედ.

საჭირო არ არის გავაგრძელო სიტყვა იმაზედ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლას, განათლებას ადამიანის წარმატებისა და ბედნიერებისათვის. ვინ არ იცის ეხლა ეს ჭეშმარიტება? თქვენ დიდიხანია კარგათ გრძნობთ ამ ჭეშმარიტებას და ყოველთვინ მსურველი იყავით, რომ აქ ყოფილიყო სემინარია, რომელშიდაც თქვენ შვილებს შესძლებოდა განათლების მიღება. ეს დაამტკიცეთ მით, რომ თუთხმეტი წელიწადია რაც შემოგაქვსთ სემინარიის დასამყარებელად შეძლებისა გვარათ ფულები, რომელიც ეგზავნება პრიკაზში. მიწერ-მოწერა სემინარიის დამყარებისათვის იმავე დღიდამ იყო გამართული ჩემგნით და თუმცა, სამწუხაროდ და განსაცვიფრებელად ჩემდა, აწ განსვენებული ექსარხოსი არხიეპისკოპოსი ევსევი ამტკიცებდა და სწერდა სინოდში, რომ არ არის საჭირო სემინარია ქუთაისშიო და არც იქაურ სამღვდელოებას სურსო, გარნა თვით თქვენი არძისაგან, რომელიც, ორი წელიწადია მას უკან, რაც გაგზავნეთ სინოდში და ითხოვეთ შემწეობა სემინარიის დამყარებისათვის, იცნა უწმინდესმა სინოდმა რა ზომად გსურთ თქვენ სემინარიის დამყარება და ბრძანა, რომ მოეძებნოთ და ეიპოოთ რამე წყარო ამ საქმის შესრულებისათვის.

არ შემიძლია მე აქ არ გამოვთქვა ჩემი უკიდურესი განკვირება მასზედა, რომ ეხლაც არიან ზოგიერთნი პირნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ არ არის საჭირო აქ სემინარია, საკმაო არისო ბაკაესიის მხარისათვის ერთი სემინარია თფილისშიო. ჩვენ აქ, გადმოღმა საქართველოში, ესე იგი იმერეთში, ოდიშში, გურიაში, აფხაზეთში, სვანეთში ვიქნებით ნახევარ მილიონზე მეტი სული მართლმადიდებელი ქრისტიანე. გარდა ამისა ხსენებულ ქვეყნებში ათასამდი მღვდლები არის ორი ათასამდი მთავარ დიაკვნები და მედავითნები. სამ დაბალ სასულიერო სასწავლებელში, გარდა ერის კაცების შვილებისა სწავლობენ ათას ორასამდინ შაგირდები, და ყოველ წელიწადს ასრულებენ ასოცამდი. სად წავიდეს და რა ქნას ამოდენმა სულმა, უმაღლესის სწავლისა მწყურვალემან? თფილისის სემინარიაში ძლივს მიიღებენ 20-25 ყმაწვილს და ამათგანისა ნახევარიც ვერ დაასრულებს კურსს, სნეულებისა გამო, რადგანაც თფილისის ჰავა მძიმეა და უთვისო აქაურებთათვის; სხვანი კი უნდა წავიდნენ სოფლებში და დაივიწყონ ისიც, რაც ისწავლეს დაბალ სასწავლებელში. მადლობა ღმერთს, რომ აწინდელი მაღლად პატივ-ცემული და სასულიერო განათლების მოსურნე ექსარხოსი საქართველოისა არ ეკუთვნის იმ პირთა, რომელიც ამ ახირებულ ჰაზრს ამტკიცებენ. მას არა ერთ გზის უთქვამს ჩემთან სემინარია საჭირო არის ქუთაისშიო. აბა ამაზე აღარ არის საჭირო უბნობის გაგრძელება: დამტკიცებულია, გარდაწყვეტილი და ბრძანებული უმაღლესი მთავრობისაგან, რომ სემინარია უნდა იქმნეს ქუთაისში. საქმე იმაშია, რა წყარო გვაქვს ამ საქმისათვის? სიდამ მოეძებნოთ ეგოდენი დიდი საშვალობა, რომ ეყოს ამ დიდ საქმეს? მადლობა ღმერთს, გამოჩნდა ეხლა ერთი საშვალობა. მე მრწამს, რომ ღვთის განგებით იყო ესა, რომ სწორეთ ეხლა გამოგვიდა თქვენ შემწეობა ხაზინიდამ, ე. ი. მცირე რამე ჯამაგირი, რომელიც საქართველოში სამღვდელოებას ათი წელიწადია ეძლევა. უწმინდესი სინოდიც ეხლა კითხულობს რას შესწირავთ თქვენ სემინარიის დასამყარებლად და თავის მხრითაც უარს არ გეუბნება შემწეობის მიცემისათვის, რადგანაც მიჩვეული ხარ ხართ ჯერ ამ ჯამაგირის მიღებაზე და ხარჯვაზე, ვერც კი შეიტყობთ გაჭირვებას, რაც გინდა დიდძალი ფული შესწიროთ სემინარიისათვის ახალ გამოსულის ჯამაგირებითალი ბრძანდები, ჩემო კეთილო, მეც ვიცი, რომ ეს წვრიმალია, რომ ესეც და ამისთანა ათასობით რომ ხდება, არიან შტოები იმ უზარ-მაზარი ხისა, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს რუსეთის ნიადაგზე და მე და შენთვის არა გამოვა-რა, გინდ რამდენიც უნდა მოიჭრას თითო ტოტი; მაგრამ რა ვქნათ, რომ ეს წვრიმალი გულს გვიკლავს, სისხლს გვიფუჭებს, რომ ამ წვრიმალში არის ხალხის კვნესა, ვაება და გოდება, ცოცხალი ხალხისა! ვინ აიზევს აქ ზევით ცხვირს, ვინ არ იტყვის, რომ ამ შემთხვევაში ცეტი პრისტავის გაგდება კი არ არის გაზეთის მიზანი, უამისოთაც, ბამლეტში მესაფლავისა არ იყოს, „ამისი თავი მალე დალპებაᲐ“, ჩვენი ტკივილია, რომ მკითხველი ამ წვრიმალმა დააფიქროს, საზოგადო მიზეზებამდის აიყვანოს...

ამბარი ლენდრე.

სოფელზე გაყვანა. ეს ნაწყვეტი ისევ ივრის-ხეობას მოხვდა და ამ ყანების მკაში კარს მიადგათ ვილაც ერთხელ გამოგდებული და ახლა ისევ დაყენებული . . . . . პრისტავი... დაუბარიბია მთელი ივრის-ხეობის მამასახლისები. მოსულა ყველა. დაგვიანებულა ჩვენი მიხა და ცოტათი შეზარხოშებულიც მოსულა.

— ძნიაზს გაუმარჯოსო! მიესალმა ის პრისტავს.

— სადა ხარ აქამდის! შეუტია იმან.

— ეხლა რომ მოველ არ გიხარიანო! უთხრა ღიმილით უნებურად მამასახლისმა.

ამ უნებურმა პასუხმა ისე იმოქმედა პრისტავზე, როგორც წითელი რამ მოქმედობს ცეტ-მოზვერზე.

— როგორ! მე ბეგარას გიცხადებ, სახელმწიფო საქმეს, და შენ იგვიანებ, ჰ., შე ღორო! ჰა! უყვიროდა შჩედრინის გმირი.

— ჩვენი რა გადასახადია, რომ მთავრობა მოატყუოს, ბატონო, ვილაც პადლეცმა. უთხრა დინჯათ მამასახლისმა.

— შენ ხარ პადლეცი, შე მა.....ო! ეხლავ ციხეში გაგგზავნი! მამასახლისი ხარ და ხალხს მაგეებს აგონებ! დაუღრიალა გაცოფებულმა ბატონმა.

მამასახლისმა ახლა-კი პირ-და-პირ უთხრა, რომ პადლეცი მე კი არა ვარ, თქვენში მოიკითხეო და მამას თუ მაგინებ, იქნება მეც პირი მქონდესო....

ამის თქმაღა იყო საჭირო, რო პრისტავის თავში დეეხატნა ეს გლეხი ხელმწიფის და ადმინისტრაციის წინააღმდეგათ (აბა!)! ამიტომ მიეარდა და ააგლიჯა მენდალი. მერე უბძანა თავის სამ ჩაფარს გამათრახეა, თითონაც დააგძელა თელაური მათრახი. მამასახლისი აპირებდა ხელის გამოღებას, მაგრამ აბა ამათთან რას იზამდა? უფრო დაებრაზა...

საშინლათ ნაცემი და ბარბაროსულათ ხელებ-შეკრული გამოატარეს ამ მკათათვეში სამოც-და-ათი ვერსი და ჩამოიყვანეს ქალაქს. თუმც ბევრს ეუბნებოდა: ნუ მიკრავთ ხელებს, მე თითონ მოვდივარო; მაგრამ ყურს ვინ უგდებდა. ისე იყო თავის სიმართლეზე და მართლ-მსაჯულებაზე დამყარებული მამასახლისი, რომ ამ ჯოჯოხეთურ ტკივილს არათ აგდებდა, როცა მე ის ვნახე.

მაზრის მმართველს ეს ამბავი მაშინვე გაეგო; მაგრამ როცა წაეკითხა პრისტავის რაპორტი, რომ ვითომ გლეხმა ლანძღა ხელმწიფე, ღმერთი, ადმინისტრაციაო, გადასცა საქმე გამომძიებელს და მამასახლისობაც ჩამოართვა.

ბლეხმა კი ექიმს იარეები შეამოწმებინა და გუბერნატორს პრისტავზე საჩივარი მისცა. ამბობენ ამ პრისტავისა ისე შეეშინდათ იქ დამსწრეებს, რომ ნაჩალნიკთან პრისტავის სიმხეცობა ვერ აღვიარესო. ან რომელი გლეხი გაბედავს?

— ასეთ წვრიმალზე არ გეკუთვნის მაგდენი ლაპარაკიო, მეტყვის განათლებული მკითხველი, რომელმაც იცის ნამდვილი დანიშნულება წერის. მართალია, ეს ასეა, ოღონ ეს ასეა, ოღონ ეს ასეა, ოღონ

დამ. თქვენი ჯიბიდამ, თქვენი ხელიდამ არაფერს გთხოვ, იმას გთხოვ რაც არა გაქვს ჯერეთ. რა გაუჭირდება კაცს შეწიროს კეთილ საქმისთვის ის, რაც არ აქვს ჯერ, და არ ჰქონია. შენ იტყვი: მე ღარიბი ვარო, ჩემთვის მინდა მოვიხმაროო. ეგ მართალია, მაგრამ შეგიძლია ნახევარი შენთვის მოიხმაროო, ნახევარი რამდენიმე წლის განმავლობაში შესწიროო ამ დიდ და საუკონო საქმისათვის. შენც შეგიმსუბუქდება ცხოვრება და დიდი საუკონო საქმე გაკეთდება. უმეტესი თქვენგანი ხშირად საჭმელსაც იკლებს და სასმელს და ანაფორას არ შეიკერავ: მე რომ მოვკვდეო, შვილებს ლუკმა პური აღარ დარჩებაო. სახლს აამენებს, მიწა მამულს იყიდის, რომ რამე სამკვიდროო დარჩეს მის შვილებს. დარწმუნებული იყავით, თუ სემინარია დაამყარეთ იმაზე უმჯობესი სამკვიდროო თქვენთა შვილთა და შვილისშვილთათვის აღარა შეიძლება რა. თუ სემინარია დაასრულა შენმა შვილმა ლუკმა პურს ყოველთვინ იშოვნის.

მე ყოველთვინ მეჯავრება, როდესაც კაცი თავის თავს იქებს, მაგრამ ნუ დამზრახავთ, რომ დასასრულ ჩემი სიტყვისა რაოდენიმე სიტყვა ესთქვა ჩემ თავზე. ოცი წელიწადი მეტია რაც მე შიმოვედი ამ ეპარხიაში ეპისკოპოსად. ბაიხსენეთ რა იყავით თქვენ მაშინ და რა ხართ ეხლა? თამამად ვიტყვი თქვენ იყავით მაშინ ივიერ ყმები ბეგარაში მყოფნი, იმ განსხვავებით, რომ ერის კაცების გლეხებს თითო ბატონი ყავდა, თქვენ კი სამსამი ბატონი გყავდათ თითოეულს, სამს ბატონს აძლევდით ბეგარას ბლაღოჩინს, კანცელარიას და ეპისკოპოსს. არა ვგონებ რომ რომელიმე გლეხი იმ დროში თქვენზე მომეტებულ გარდასახადს იხდიდა. ამის ყოველისაგან მე თქვენ გაგათავისუფლეთ, ამდენი და ეგოდენი ულელი ჩამოგხადეთ თქვენი კისრებისაგან. კანცელარიაც და ბლაღოჩინებიც დარიგებული და გაფრთხილებული მყავს, რომ არავინ შეგაწუხოს და თუ ვინმე მათგანი ილებს თქვენგან ანუ აულია ქრთამი გააცხადე, დაამტკიცე და იმავე წამში დაეითხოვ სამსახურიდამ. ოცი წლის წინეთ გულ-საკიდი ოქროს ჯვარი ორ სამ პირს ქონდა მთელს აქაურს ეპარხიაში, ახლა ორმოცსაც კი ექმნება; სხვა დაბალ ჯილდოებს ვინღა დათვლის. აქ არც კი ვინ იცოდა, რომ ორმოცდა ათი წლის უბიწო სამსახურისათვის მიენიჭებოდა მღვდელს ვლადიმირის ჯვარი, რომელიც საშვილით შვილოდ აზნაურობის ხარისხს მისცემს. არიან ზოგიერთნი უსწავლელნი — მღვდლის შვილის-შვილები, — რომლებთაც ბატონებით მიერქვამდენ. სამუშაოში და ეხლა კი აზნაურები შეიქმნენ. თვით ის ჯამაგირი, რომლიდგანაც შეგიძლიათ თქვენ სემინარია დაამყაროთ, მხოლოდ მე გაგირიგეთ თქვენ. ამ საქმისთვის ბევრი შრომა მივიღე, რამდენ ჯერმე თფილისში წავედი, რამდენ ჯერმე შევაწუხე ნამესტნიკიდამ დაწყებული დიდ დიდი ჩინოვნიკები და ძლივ გაგირიგე თქვენ ჯამაგირი. ეგოდენ თქვენ წარმატების და ბედნიერების მეცადინეობისათვის, ახლა მეც დაქაჯილდოვეთ, მადლობა გადიხადეთ ჩემთან აასრულეთ ჩემი რჩევა და მით მეც გამახარეთ. ბარდა საკუთრათ ჩემთვის რა საქიროა სემინარია? მაგრამ მე თქვენს წარმატებას ვეძიებ მე საზოგადოდ ეპარხიისათვის ვცთილობ, რომ განათლებულნი მღვდელნი იყვნენ ეპარხიაში.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲗᲐ

ქუთაისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლის 1881 წლისა

ᲐᲥᲢᲘᲕᲘ.

წოდება ანგარიშთა.	მან.	კ.
ხანგრძლივნი სესხნი, გაცემულნი:		
ა) სოფლის მამულებზე, $43\frac{1}{2}$ წლით 726,900 —	2.243,700	„
ბ) ქალაქის მამულებზე, $18\frac{7}{12}$ „ 1,516,800 —		
მოკლე ვადიანი — — — — — — — — — — — —	85,470	
ვადაზედ შემოსატანი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა	102,622	70
ვადას-გადაცილებული გადასახადი — — — — — —	14,882	10
დასაბრუნებელი ხარჯები — — — — — — — —	4,404	57
მიმდინარე ანგარიშები:		
ა) სახელმწიფო ბანკის თბილისელ განყოფილებაში 3,780 მან. 97 კაპ. — — — — — — — —	37,053	78
ბ) თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში 32,156 მ. 21 კ — — — — — — — —	37,053	78
გ) თბილისის საეკლესიო ბანკში 1,114 მ. 60 კ.— —	37,053	78
საწევრო ფული თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში — — — — — — — — — — — —	30	„
სარგებლიანი ქაღალდები, ბანკის სასაკუთრონი:		
ა) სახელმწიფონი—, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისელს გამყოფილებაში (190,000) 177,061 მ. 45 კ.	227,297	07
ბ) სხვა-გვარი სარგებლიანი ქაღალდები (55,700) 50,235 მ. 62 კ — — — — — — — — — —	227,297	07
სარგებლიანი ქაღალდები:		
ა) საზოგადო საჭიროებათა თანხა (8,700) — —	8,004	„
ბ) სასტიპენდიო „ (3,900) — —	3,482	74
ბირავის ფურცელნი, საკომისიოდ მიღებულნი (107,800)	86,990	„
ბანკის კორრესპონდენტები — — — — — — — —	144,226	80
კუპონებში გადახდილი ფული — — — — — — — —	39,003	„
ტარაქში გამოსულს ბირავის ფურცლებში — — — —	11,700	„
ბირავის ფურცლები, მოსასპობლად შემოსულნი — —	22,300	„
სხვა-და-სხვა დებიტორები — — — — — — — —	2,000	„
ხარჯები ბანკისა:		
ა) მმართველობაზე და სხვა-რამეებზე — — — —	17,223	13
ბ) მოწყობ-მორთულობაზე — — — — — —	4,001	63
ქასსა:		
ნაღდი ფულით — — — — — — — — — — — —	23,803	80
ბირავის ფურცლებით 82,600		
	3.078,195	32

ᲞᲐᲡᲘᲕᲘ.

წოდება ანგარიშთა.	მან.	კ.
ძირის თანი — — — — — — — — — — — —	463,459	19
სათადარიგო თანხა — — — — — — — — — —	13,021	36
საზოგადო საჭიროებათა დასაყმაყოფილებელი თანხა —	26,090	29
სასტიპენდიო თანხა — — — — — — — — — —	3,903	19
მსესლელობაში მყოფნი ბირავის ფურცელნი:		
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი 726,900 — — — — — —	2,243,700	„
ბ) $18\frac{7}{12}$ „ 1,516,800 — — — — — —	2,243,700	„
თავნის მოსასპობი თანხა:		
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანისა 2,176 მან. 58 კაპ. — — —	29,890	37
ბ) $18\frac{7}{12}$ „ 27,713 „ 79 „ — — —	29,890	37
სარგებლის თანხა:		
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანისა 21,801 „ 94 „ — — —	66,935	19
ბ) $18\frac{7}{12}$ „ 45,133 „ 25 „ — —	66,935	19
ᲥᲝᲕᲔᲚ-ᲬᲚᲘᲣᲠᲘ შემოსატანი ფული შესადგენელათ სიძირო და სათადარიგო თანხათა და სხვ. — — — — — —	24,418	75
სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა — — — — —	4,033	33
ერთ-დროებითი შემოსატანი ფული — — — — —	6,534	60
ჯარიმა — — — — — — — — — — — — —	2,494	56
სხვა-და-სხვა სარგებელი — — — — — — — — —	11,421	50
ბარდასაცემი ფული — — — — — — — — —	7,236	79
ტარაქში გამოსული ბირავის ფურცელნი — — — —	41,800	„
ფული, გადადებული კუპონების საჭლეველად — — —	102,999	„
ვადას-გარეთ მოსპობილნი ბირავის ფურცელნი — — —	22,300	„
სხვა-და-სხვა კრედიტორები — — — — — — — —	5,978	„
ღერბის ქაღალდის გარდასახადი — — — — — — —	274	30
კომმისსია და კურტაჟი — — — — — — — — —	1,704	90
	3,078,195	32